ავიაკომპანიამ თვითმფრინავები გაყიდვაზე გამოიტანა
ორშაბათი, 29 ივლისი 2013 21:34

სომხეთის გაკოტრების პირას მდგომმა უმსხვილესმა ავიაკომპანიამ "არმავია" თვითმფრინავები გაყიდვაზე გამოიტანა.
კომპანიამ ამის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო: "დაინტერესებული პირები უკვე არიან. ისინი მზად არიან, თვითმფრინავები იყიდონ", განაცხადეს ავიაკომპანიიდან. ამასთანავე განაცხადეს, რომ "არმავიას" გაკოტრების პროცესი შეჩერდა და კრედიტების ნაწილ-ნაწილ გადახდა დაიწყო.
აღსანიშნავია, რომ სომხეთის საჰაერო გზის კომპანიამ გაკოტრების შესახებ აპრილში განაცხადა და გაფრენები შეაჩერა.

1 / 1